ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №48-83

2019 წლის 8 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 26/09/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016549) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტს „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) ახორციელებს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევის ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელების ფაქტების გამოვლენას.“.

2. მე-6 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „5^1“ პუნქტი:

„5^1. მონიტორინგის სამმართველო, განყოფილებების მეშვეობით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციებისა, ასევე ახორციელებს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევის ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელების ფაქტების გამოვლენას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**